

შპს რეალტრანს სოლუშენი (ს/ნ 405062462)
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	422,50	289 199,38
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1 283 229,97	3 915 819,00
მარაგები		105,93	20 105,93
წინასწარ გადახდილი ხარჯები		980 421,25	980 421,25
		2 264 179,65	5 205 545,56
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	725,92	1 226,56
		725,92	1 226,56
		2 264 905,57	5 206 772,12
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	1 048 378,88	1 055 847,10
მოკლევადიანი სესხები		1 120 565,90	3 735 555,52
		2 168 944,78	4 791 402,62
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		517 774,51	517 774,51
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(421 813,72)	(102 405,01)
		95 960,79	415 369,50
		2 264 905,57	5 206 772,12

დირექტორი
მ. აბაშიძე



ბუღალტერი
ი. ხალატიანი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	კომ.	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან		-	3 057 241,63
გაყიდვების თვითღირებულება		-	(2 741 678,87)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(98 121,22)	(99 564,08)
ცვეთა და ამორტიზაცია		(500,64)	(500,64)
საპროცენტო ხარჯი		(155 802,44)	(400 976,62)
იჯარის ხარჯი		-	(15 636,10)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	7	(42 111,58)	(51 579,69)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(296 535,88)	(252 694,37)
არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი			
მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(22 872,83)	(94 606,34)
არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		(22 872,83)	(94 606,34)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		(319 408,71)	(347 300,71)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		(319 408,71)	(347 300,71)
საწყისი კაპიტალი		415 369,50	286 132,61
კაპიტალის გაზრდა / (შემცირება)		-	476 537,60
საბოლოო კაპიტალი		95 960,79	415 369,50

დირექტორი

მ. აბაშიძე



ბუღალტერი

ი. ხალატიანი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რეალტრანს სოლუშენი (ს/ნ: 405062462)-ს მისამართია: ქ.თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქ.#2ბ, სად.1, სართ.3, ბ.6.

კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არის ფიზიკური პირი ლ. ჭიორელი (100%).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზით გადაზიდვის მომს-ბა, ასევე ქვანახშირის, ბენზინის იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 5 წლის ვადით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.22	31.12.21
ნაღდი ფული	63,28	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,12	1,62
უცხოური ვალუტა ბანკში	357,10	289 197,76

422,50	289 199,38
--------	------------

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.22	31.12.21
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	1 239 429,73	3 865 883,36
გაცემული ავანსები	41 909,92	46 922,62
საგადასახდო აქტივი	1 890,32	3 013,02
	1 283 229,97	3 915 819,00

5. ძირითადი საშუალებები

	31.12.21	წმინდა ცვლილება	ცვეთა	31.12.22
ისტორიული ღირებულება				
ოფისის აღჭურვილობა	2 503,38	-	-	2 503,38
	2 503,38	-	-	2 503,38
აკუმულირებული ცვეთა				
ოფისის აღჭურვილობა	(1 276,82)	-	(500,64)	(1 777,46)
	(1 276,82)	-	(500,64)	(1 777,46)
საბალანსო ღირებულება				
ოფისის აღჭურვილობა	1 226,56	-	(500,64)	725,92
	1 226,56	-	(500,64)	725,92

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.22	31.12.21
ვალდებულებები მომწოდებლებთან	67 942,39	75 408,27
მიღებული ავანსები	980 436,49	980 438,83
	1 048 378,88	1 055 847,10

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
საგადასახადო ხარჯი	9,76	138,90
წარმომადგენლობითი ხარჯი	25 000,00	5 250,00
ბანკის საკომისიო	15 381,38	43 864,22
საპენსიო დაგროვება	1 683,72	1 637,81
ოფისის ხარჯი	36,72	688,76
	42 111,58	51 579,69

